

ასპინძის მუნიციპალიტეტი



ელექტრონული ტენდერი სატენდერო დოკუმენტაცია

დ. ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების ეზოების
კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა

CPV კოდი: 45212130 - გასართობი პარკების მშენებლობა

დ. ასპინძა 2016 წელი

აღბოლობრივი ბიუჯეტი

სამარაშლო ღირებულება 159796 ლარი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1. შესყიდვის ობიექტი: დ. ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.
2. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი (100%);
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 159796 ლარი
4. სამუშაოების შესრულების ვადები
 - 4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 60 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილი გეგმა გრაფიკის მიხედვით;
 - 4.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება უნდა დაიწყოს წარმოდგენილი გეგმა - გრაფიკის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან;
5. სამუშაოთა შემადგენლობა
 - 5.1 დ. ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და პროექტში;
6. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:
 - 6.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი) დანართი #1-ის მიხედვით;
 - 6.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი და სამუშაოების შესრულების ვადა და გარანტია დანართი #2-ის მიხედვით;
 - 6.3 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი #3-ში მოცემული ფორმის შესაბამისად;
 - 6.4 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი #4-ს მიხედვით;
 - 6.5 სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა გრაფიკი დანართი #5-ის მიხედვით;

3. ტექნიკური დავალება

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტია დ. ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.

2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს განფასებას ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, დანართი №3-ის მიხედვით
3. ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს 60 კალენდარულ დღეში.
 - შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს 2 წლიანი გარანტია (მიმწოდებლის მხრიდან ბრალეულობის შემთხვევაში)
 - ტენდერში მონაწილე პროექტს 2014-2015-2016 წლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით სარემონტო სამშენებლო სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 400000 ლარი, დანართი #2-ის მიხედვით.
 - იმ შემთხვევაში თე შესყიდვა განხორციელებული აქვს ელექტრონული სისტემის გარეშე მიმწოდებელმა ასევე სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად სისტემაში უნდა აიტვირთოს ტენდერით გათვალისწინებული სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები და სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტები).
 - იმ შემთხვევაში თე სამუშაოები შესრულებული აქვს ქვეკონტრაქტით უნდა წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობა და შემსყიდველსა და კონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულება.
 - ვაჭრობის ფასის ცვლილების შემთხვევაში შემოთავაზებული მასალის შეცვლა სხვა დაბალი ხარისხის ანალოგიური საქონლით არ განიხილება.
 - სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული მასალები უნდა იყოს ახალი, მაღალხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.
 - მიმწოდებელმა როგორც შუალედური ასევე საბოლოოდ დასრულებული სამუშაოების შემდგომ უნდა წარმოადგინოს აკრედიტირებული ექსპერტის მიერ გაცემული საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, ექსპერტიზის ღირებულება გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში.
 - სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 და 15 იანვრის №71 დადგენილებებით.

4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პროექტის ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“- ქვეპუნქტში განსაზღვრულ მოთხოვნებზე:

- ა. შუალედური ანგარიშსწორება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და შესყიდვის ობიექტის ნაწილის (ეტაპის) დასრულებისა და აკრედიტირებული ექსპერტის მიერ გაცემული საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება კი მთლიანად დამთავრებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისა და აკრედიტირებული ექსპერტის დასკვნის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

ბ. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით და მეტი დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა აკრედიტირებული ექსპერტიზის დასკვნით.

6. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

7. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. დ. ასპინძა, თამარის ქ.№3, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. საკონტაქტო პირი: გოდერძი ლაზარაშვილი. ტელ: 591 91 89 72, ანზორ ალელიშვილი 551744004.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- 2016 წ.

ერთის მხრივ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ

----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

სამუშაოს მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები და ხარისხი

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

2.2, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/ და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში.

3.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოს წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. შესყიდვის ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი, ტექნიკური პირობები

4.1 **შესყიდვის ობიექტის** წარმოადგენს, დ. ასპინძაში #1 და #2 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

4.2 **კლასიფიკატორის კოდი** – 45212130

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. სამუშაოს დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. მიწოდების ადგილი – დაბა ასპინძა

6. დაზღვევა

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

7.2. სამუშაოთა მიღება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს და სამუშაოების მიღებას განხორციელებს ინსპექტირების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, ხოლო ობიექტს ექსპლუატაციაში მიიღებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობა დამთავრებული ობიექტების ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისია აკრედიტირებული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიხედვის მითითებით.

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წლების ბიუჯეტით ეტაპობრივად.

8.3. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.

8.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება კი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების და აკრედიტირებული ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.5 შესრულებული სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელს დაეკავება სახელშეკრულებო ღირებულების 10% ერთი თვით საგამოცდო ვადით.

9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუმეზღვრელია.

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე..

11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

12. სუბკონტრაქტორები

2.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

14.2 შემსყიდველი ვალდებულია:

14.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

14.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

14.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

14.3.2 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

14.3.3 ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

14.3.4 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

14.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

14.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.4.2 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

14.4.3სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უზარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე;

14.4.4სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

14.4.5მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.4.6მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

14.4.7ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

14.4.8. სამუშაოების დასრულების შემდეგ 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უზარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

14.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

14.5.1მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მთლიანი სამუშაოების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

15.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 მე-16 მუხლის 16.1 და 16.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შესხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური

მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

18.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. გამოყენებული სამართალი

19.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. შეტყობინება

21.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდლების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდლების გადახდაზე.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია -----
-----.

24. სხვა პირობები

24.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

24.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

24.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, სარჯებითა და რისკით.

24.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

24.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი

ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

შემსყიდველი:

14

მიმწოდებელი:

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

პრეტენდენტი _____

დანართი#2

სატენდერო წინადადების ფასი

#	სამუშაოს დასახელება	სატენდერო წინადადების ფასი	სამუშაოს შესრულების ვადა და გარანტია
1	#1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილ მოწყობა		
2	#2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილ მოწყობა		
	სულ		

დანართი #3

ხარჯთაღრიცხვა

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

#	შესრულებული სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოების ღირებულება (ლარი)	ტენდერის SPA# ან CMR#
1					
2					
...					
ჯამი (2014 წელი)					
1					
2					
...					
ჯამი (2015წელი)					
1					
2					
....					
ჯამი (2016 წელი)					
სულ ჯამი					

დანართი #5

შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი

